

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისის საქალაქო სასამართლოს იცხვის სამართლის საქმეთა კოლეგის მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის ანგარიში №1
პერიოდი: ოქტომბერი-დეკემბერი, 2011
აპრილი, 2012
თბილისი, საქართველო

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა განხეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



USAID
ახერივალი ხალხისან



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

მართლისაჯულების დამოუკიდებლობის
და სამართლებრივი გაძლიერების მრიუქტი

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ავტორები: ეკა ბუციშვილი
თიბეთინ ავალიანი

რედაქტორი: სათურა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ჩუგოშვილი
ეკატერინე ფოჭხავა
თამარ გვარაგავა

მონიტორინგის და კვლევის მარიამ ნიკოლაშვილი
მომზადების პროცესში გიორგი პოპანდოვაული
მონაცილეობა მიიღეს საიას ვლაძიმერ ბერიშვილი
მონიტორება:



აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ქ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საოციაციის წერილობითი წებართვის გარეშე

ს ა რ ჩ ი ვ ი

მიზანი და მეთოდოლოგია	4
ძირითადი უფლებები და გამოვლენილი შედეგები	6
საჯარო განხილვის უფლება	6
თარჯიმის ყოლის უფლება	11
თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება	12
დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება	14
არასათანადო მოპყრობის აკრძალვა	16
დასკვნა	17
დანართები	20

მიზანი და მეთოდოლოგია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) სასამართლო მონიტორინგის პროექტის მიზანია, სისხლის სამართლის საქმეებზე გამართული სასამართლო სხდომების დაკვირვების გზით, მათი გამჭვირვალობის გაზრდა და სასამართლო დარბაზებში რეალურად მიმდინარე პროცესის გადმოცემა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მართლმსაჯულების პროცესის სამართლიანობა, განსაკუთრებით კი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და სასამართლოს დამოუკიდებლობა არაერთხელ გამხდარა განსჯის საგანი, დღემდე არც ერთ ორგანიზაციას სისტემატურად არ შეუგროვებია და საჯაროდ არ გამოუქვეყნებია მონაცემები, რაც სასამართლო ხელისუფლების კრიტიკას დასაბუთებდა ან გააქანწყლებდა. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული საქმეების მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო განხილვების სისტემატურ პრობლემებზე მსჯელობა, პროცესის კომპლექსური შესწავლა შეუძლებელია ფართომასშტაბიანი დაკვირვების, ფაქტების მოძიებისა და სიღრმისეული ანალიზის გარეშე.

იმისათვის, რომ გაიზომოს სასამართლოების ქმედების შესაბამისობა როგორც საქართველოს კონსტიტუციასა და საპროცესო კანონმდებლობასთან, ასევე პროფესიული ქცევის საერთაშორისო სტანდარტებთან, საიამ შეიმუშავა კითხვარის რამდენიმე ფორმა. საიას დამკვირვებლები კითხვარს იყენებდნენ, რათა დაედგინათ, რამდენად სრულყოფილად ხდებოდა სასამართლოს მიერ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურათა პრაქტიკაში განხილული იყო. კერძოდ, საიამ გამოიყენა კითხვარის აღნიშული ფორმები, რათა შეემონმებინა ნარმოებული სასამართლო სხდომების შესაბამისობა შემდეგ საპროცესო სტანდარტებსა და სამართლიანი სასამართლოს უფლებებთან:

- საჯარო განხილვის უფლება
- მხარეთა თანასწორობა
- თარჯიშნის ყოლის უფლება
- თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება
- დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება
- არასათანადო მოძყრობის აკრძალვა

კითხვარებისთვის საიამ შეიმუშავა როგორც დახურული კითხვები, სადაც პასუხი შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ისე ღია კითხ-

ვები, რომლებზე პასუხითაც მონიტორებს საშუალება ჰქონდათ, ვრცლად დაეფიქსირებინათ და განემარტათ სასამართლო სხდომაზე თავიანთი დაკვირვების შედეგები. ეს მათ საშუალებას აძლევდა, შეეკრიბათ ობიექტური, გაზომვადი მონაცემები და, იმავდროულად, დაეფიქსირებინათ მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილი შესაძლებელია არ ასახავდეს წინამდებარე კვლევის თანდართული ცხრილის მონაცემებს, ანგარიშში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია მონიტორთა მიერ სასამართლო პროცესების უშუალო დაკვირვების შედეგადა მოპოვებული და მათ პირველად ჩანაწერებშია ასახული.

საწყის ეტაპზე საიას მიზანს წარმოადგენდა მონიტორინგის განხორციელება თბილისის საქალაქო სასამართლოში. თუმცა, მომავალში იგეგმება პროექტის გაფართოება ქვეყნის მასშტაბით შერჩეულ სხვა სასამართლოებში. პროექტის განსახორციელებლად, საიას მიერ შეიირჩა და მომზადდა იურიდიული განათლების სამი მონიტორი. ისინი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში ყოველდღიურად ესწრებოდნენ შემთხვევითი წესით შერჩეულ სასამართლო სხდომებს – დღის განმავლობაში, საშუალოდ, ორ-ოთხ სხდომას. სისხლის სამართლის პროცესის სირთულის გათვალისწინებით, საიას მონიტორები ესწრებოდნენ სისხლის სამართლის საქმეზე ცალკეულ სხდომებს, აფიქსირებდნენ მონაცემებს იმ კონკრეტულ სხდომაზე და არ აკვირდებოდნენ ერთ რომელიმე საქმეს მისი დასაწყისიდან დასრულებამდე. მონიტორები აკვირდებოდნენ სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფთა მხრიდან საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო პროცესის მოთხოვნების შესრულებას და ყველა სხდომაზე ავსებდნენ შესაბამის კითხვებს. მონიტორების დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი ხორციელდებოდა საიას გამოცდილი ადვოკატებისა და ანალიტიკოსების მიერ. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დასკვნები ანგარიშის ძირითადი ნაწილია და მომავალში საიას მიერ რეკომენდაციების მომზადების საფუძველს წარმოადგენს. ეს რეკომენდაციები მიზნად ისახავს საქართველოს სისხლის სამართალწარმოების შესაბამისობაში მოყვანას საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ ეტაპზე მონიტორინგის პროექტის მიზანი არ არის საქმეზე მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენის არსებითი ანალიზი.

ანგარიში მოიცავს საიას მონიტორების მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის პროცესების

მონიტორინგის შედეგად გაკეთებულ დასკვნებს 2011 წლის ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში. ამ პერიოდის განმავლობაში საიას მონიტორები 283 სასამართლო სხდომას დაესწრნენ, აქედან: 101 – სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა (აღკვეთის ორისტიკის შეფარდება); 66 – წინა სასამართლო სხდომა; 50 – საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე სხდომა და 66 – მთავარი სასამართლო სხდომა.

საია იმედოვნებს, რომ მონიტორინგის განმავლობაში შეგროვებული ინფორმაცია და მის საფუძველზე გაკეთებული შესაბამისი დასკვნები ხელს შეუწყობს საქართველოს სასამართლოებში მიმდინარე პროცესებზე უფრო ნათელი სურათის შექმნას და ინფორმაციული იქნება სასამართლო რეფორმის შესახებ მიმდინარე დებატებისთვისაც.

პირითაღი უფლებები და გამოვლენილი შედეგები

საჯარო განხილვის უფლება

ბრალდებულის უფლება სასამართლოში საჯარო განხილვაზე გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით,¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით² და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) მე-10 მუხლით.³

¹ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი: „სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ“;

² ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მუხლი 6.1: “[...] სისხლისამართლებრივი ნებისმიერი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქეს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძობებული სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლან და საჯარო მოსმენაზე. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაიშვას სასამართლო განხილვის მთელ ან მის ნაწილზე, თუ ამას მოითხოვს არასრულნლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან სასამართლოს შეხედულებით, განსაკუთრებულ გარემოებებში, მკაფრი აუცილებლობის ზღვრამდე, თუ საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს“;

³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსსკ), მუხლი 10.1: “სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად. სხდომის დახურვა დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში“; იმავე მუხლის მე-2 ნანილი: “სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.“

საჯარო განხილვის უფლება არ წარმოადგენს მხოლოდ ბრალდებულის უფლებას – დაესწროს საზოგადოება მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვას. აღნიშნული ასევე გულისხმობს თავად საზოგადოების უფლებას, იყოს ინფორმირებული საქმის შესახებ და პქონდეს შესაძლებლობა, დაესწროს მის განხილვას. შესაბამისად, ეს უფლება მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას, უზრუნველყოს საქმის განხილვის იმგვარი წარმართვა, რომ, საზოგადოების წარმომადგენლის დასწრების შემთხვევაში, ამ პირისათვის გასაგები და აღქმადი იყოს საქმის შინაარსი. ეს კი ნიშნავს, რომ სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს საქმის განხილვის თარიღის, ბრალდებულის სრული სახელისა და გვარის და ბრალად წაყენებული მუხლების წინასწარ გამოქვეყნება.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ, ზოგადად, სასამართლო სხდომები იყო საჯარო და ნებისმიერ მსურველს შეეძლო სასამართლო სხდომაზე დასწრება.

ამის მიუხედავად, საიას მონიტორებმა დააფიქსირეს რამდენიმე ხარვეზი, რომლებიც საჯარო სასამართლო განხილვის უფლების რეალიზებას უკავშირდებოდა. იმ სასამართლო სხდომების თითქმის ნახევარზე, რომლებსაც საია დაესწრო (283-დან 158 შემთხვევაში), სასამართლომ ვერ უზრუნველყო სასამართლო სხდომის თარიღისა და დროის სათანადო გამოქვეყნება.⁴ ეს პრობლემა დაფიქსირდა სასამართლოში პირველი წარდგენის 101-ვე სხდომაზე.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ წინასწარ გამოქვეყნებული 125 სასამართლო სხდომიდან სამ საქმეზე არასრული ინფორმაცია იყო წარმოდგენილი. მაგალითად, განცხადება არ შეიცავდა ცნობებს სსსკ-ის ყველა იმ მუხლის შესახებ, რომლებიც ბრალდებულს პქონდა წაყენებული. ერთ შემთხვევაში კი, გამოქვეყნდა არასწორი ინფორმაცია. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ბრალდებულს მითითებული მუხლით არ ედებოდა ბრალი.

საიამ აგრეთვე დააფიქსირა, რომ ზოგ სასამართლო სხდომაზე მოსამართლეები ხმადაბლა და დამსწრეთათვის გაუგებრად საუ-

⁴ სასამართლო აქვეყნებს ინფორმაციას საქმეების შესახებ მისაღებში განთავსებულ დიდ ეკრანზე და მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. საია აკვირდებოდა ინფორმაციის მხოლოდ სასამართლო შენობაში გამოქვეყნებას;

ბრობდნენ. მონიტორებმა ეს 283-იდან 26 პროცესზე (9%) შეამჩნიეს. რატომდაც ეს ტენდენცია სასამართლოში პირველი წარდგენის საქმეებზე უფრო ხშირად დაფიქსირდა, ვიდრე სხვა სხდომებზე.

მონიტორინგის ფარგლებში, 283 სხდომიდან 52 შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა საქმეზე ამა თუ იმ სახის შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას. 50 შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმება დაიდო, ხოლო ორი საქმე არსებითი განხილვის შედეგად დასრულდა. 52-ვე სხდომაზე სასამართლომ საჯაროდ გამოაცხადა საბოლოო გადაწყვეტილება და მიუთითა გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესზე დაკვირვების განსაკუთრებული შემთხვევები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საია შეეცადა, მონიტორინგი განეხორციელებინა ნაფიც მსაჯულთა პირველი სასამართლოსათვის, ნაფიც მსაჯულთა შესარჩევ სხდომაზე – რევაზ დემეტრაშვილის საქმეზე.⁵ მიუხედავად იმისა, რომ საიას მონიტორი სასამართლოში თავის დორზე გამოცხადდა, ის სასამართლო დარბაზში არ შეუშეს. სასამართლოს მანდატურმა მონიტორს განუცხადა, რომ დარბაზში თავისუფალი სკამები აღარ იყო. რადგან საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ეს პირველი პრეცედენტი იყო, როცა მსაჯულებს უნდა გადაეწყვიტათ ბრალდებულის ბედი, საიას აზრით, სასამართლოს ყველა გონივრული ღონისძიება უნდა გაეტარებინა, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს ჰქონოდა პროცესის ყველა ეტაპზე დასწრების შესაძლებლობა. ამის მილნევა შეიძლებოდა, მაგალითად, ადგილების რაოდენობის გაზრდით სხდომის დარბაზში, ასევე, მონიტორის დამონტაჟებით სხვა ოთახში, სადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებოდათ, თვალ-ყური ედევნებინათ პროცესის პირდაპირი მსვლელობისთვის.

მხარეთა თანასწორობა

მხარეთა თანასწორობა ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მხარებს სამართალნარმოებისას თანასწორი უფლებები გააჩნიათ და საქმის მსვლელობისას თანაბარ პირობებში

⁵ ეს საქმე დანართში მოყვანილ სტატისტიკაში არ არის ნაჩვენები. საია მხოლოდ სასამართლო პროცესის ნაწილს ესწრებოდა, რადგან ეს საქმე საქართველოში სამართლებრივი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო.

იმყოფებიან.⁶ მხარეთა თანასწორობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, როდესაც ბრალდებას სახელმწიფო რესურსი და ძალაუფლება გააჩნია, ხოლო დაცვის მხარე უფრო არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. მხარეთა თანასწორობის პრინციპი უზრუნველყოფს დაცვის მხარის უფლებას, შეძლოს საქმის წარმოდგენა ბრალდებასთან თანაბარ პირობებში. ამისათვის, დაცვას უნდა გააჩნდეს ადეკვატური დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად, უფლება ადვოკატის მოშვახურებაზე, ასევე, მოწმეების გამოძახებასა და დაკითხვაზე.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები, რომელთა სხდომებზე დაკვირვებაც განხორციელდა, მთლიანობაში წარმატებით ახერხებდნენ სასამართლო დარბაზში სიტუაციის გაკონტროლებას. ყოველ შემთხვევაში, გარე დამკვირვებლის თვალით ისინი ნეიტრალურები და მხარეთა მიმართ პატივისცემით განმსჭვალულები ჩანდნენ.

არც ერთი სასამართლო სხდომის დროს არ დაფიქსირებულა მოსამართლის მხრიდან ისეთი ქმედება, რაც პროცესის მონაბილე მხარეებზე აშკარა ზენოლის ფაქტად შეიძლებოდა მიჩნეულიყო.

საიმ აღმოაჩინა, რომ 30-ვე მთავარ სხდომაზე (66-დან), რომელიც მოწმეების მონაცილებით ტარდებოდა, მოწმეებს, წესისამებრ, სასამართლო დარბაზის გარეთ უშვებდნენ, როცა სხვა მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობდა.

მთავარ სასამართლო სხდომაზე დაფიქსირდა მოსამართლის მიერ მოწმეთა აქტიური დაკითხვის ორი შემთხვევა, როცა მოსამართლეთა მიუკერძობლის ეჭვქვეშ დადგა. გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში, მოსამართლემ დაარღვია სსსკ-ით განსაზღვრული წესი, რომლის თანახმადაც, მოსამართლეს ეკრძალება მხარეთა ნებართვის გარეშე

⁶ იხილეთ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42.6: “ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვს ბრალდებულის მოწმეებს”; ადგიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6.3: “ყველას, ვისაც ბრალი ედებასისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა აქვს შემდეგი მინიმალური უფლებები: [...] დ) დაკითხოს ან დაკითხონ მის ნინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები და უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის მოწმეთა დასწრებით და დაკითხვით მის ნინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მოწმეებთან თანაბარ პირობებში”.

კითხვების დასმა.⁷ ამ ორი შემთხვევიდან ერთ-ერთი სხდომის მიმდინარეობისას, მოსამართლემ მოწმეს 37 დამაზუსტებელი, მათ შორის, არსებითი ხასიათის შეკითხვა დაუსვა.

სამწუხაროდ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლეების მხრიდან შეინიშნებოდა პროკურორების მიმართ მიკერძოებული მიღებომა. კერძოდ:

- პრალდებულის ჰარჯველი ნარდგენის დროს სასამართლო ყოველთვის იზიარებდა ბრალდების პიზიციას აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით, იქნებოდა ეს პატიმრობა თუ გირაო:
 - სასამართლომ, 55-ვე შემთხვევაში, სადაც ბრალდების მხარემ პატიმრობის შეფარდება მოითხოვა, დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა.
 - 46-ვე საქმეზე მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიებად გირაო გამოიყენა მხოლოდ ბრალდების მხარის მოთხოვნის შემთხვევაში. მოსამართლის მიერ შეფარდებული გირაოს თანხა კი, პროკურორის მიერ მოთხოვნილი თანხის იდენტური იყო.
 - 66-ვე წინა-სასამართლო სხდომაზე, რომელსაც საია ესწრებოდა, მოსამართლემ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის ყველა შუამდგომლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობებს, მათი დაკმაყოფილება მხოლოდ ბრალდების თანხმობის შემთხვევაში ხდებოდა (17 შუამდგომლობიდან 13 დაკმაყოფილდა). სასამართლომ არ დააკმაყოფილა არც ერთი შუამდგომლობა, რომლებსაც ბრალდების მხარე მხარს არ უჭერდა.
 - 66 მთავარი სხდომიდან რომელსაც საია ესწრებოდა არ დაფიქ-სირებულა არც ერთი შემთხვევა, როცა სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.
- რაც შეეხება მხარეთა აქტიურობას, საიამ გამოავლინა, რომ ბრალდების მხარე, უმეტეს შემთხვევაში, გაცილებით აქტიური იყო:
- 66 წინა-სასამართლო სხდომაზე, პროკურატურამ წარმოადგინა 66 შუამდგომლობა მტკიცებულების წარდგენის თაობაზე, მაშინ როცა დაცვის მხრიდან მხოლოდ 17 შუამდგომლობა დაფიქ-

⁷ სსსკ მუხლი 25.2: “[...] მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად”.

სირდა. ძალიან იშვიათი იყო შემთხვევა, როცა დაცვა მხარს არ უჭერდა ბრალდების შუამდგომლობას. წინა სასამართლო სხდომაზე ბრალდების მიერ წარმოდგენილი 66 შუამდგომლობიდან დაცვამ მხოლოდ 6-ს არ დაუჭირა მხარი. სასამართლომ ამ ექვსიდან არც ერთ შემთხვევაში არ გაითვალისწინა დაცვის მოთხოვნა და ბრალდების ყველა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. დაცვის მიერ წარდგენილი 17 შუამდგომლობიდან სასამართლომ მხოლოდ ის 13 დაკმაყოფილა, რომელთაც ბრალდებაც ეთანხმებოდა. დაცვის მიერ წარდგენილი ოთხი შუამდგომლობა კი, რომელსაც ბრალდება არ დაეთანხმა, არც მოსამართლემ გაიზიარა.

მხარეს უფლება აქვს, დააყენოს მოსამართლის აცილების საკითხი მხოლოდ სამართალნარმოების ცალკეული ეტაპის დასაწყისში, იქნება ეს სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენა, მთავარი სასამართლო სხდომა თუ სხვა. საია დააკვირდა 204 სასამართლო სხდომას, რომელიც სხვადასხვა ეტაპის საწყისი სხდომა იყო და აღმოაჩინა, რომ საკმაოდ ხშირ შემთხვევაში – 39% (204-დან 79) – სასამართლომ არ განუმარტა ბრალდებულს მოსამართლის აცილების უფლება.

თარჯიმნის ყოლის უფლება

საქართველოს კონსტიტუცია,⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი⁹ და საერთაშორისო კონვენციები, რომლის მონაწილე მხარეც საქართველოა,¹⁰ ითვალისწინებენ, რომ თუ პიროვნებამ არ იცის სამართალნარმოების ენა, მან უნდა ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე.

⁸ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85.2: "სამართალნარმოება უნდა მიმდინარეობდეს სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის მიერინება თარჯიმიანი";

⁹ სსსკ მუხლი 38.8: "ბრალდებულს უფლება აქვს, დაეითხვის დროს და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა. [...]";

¹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6.3: „ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლებათა შემდეგი მიზიმუმი: [...] ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ილაპარაკოს ენაზე, რომელსაც იყენებს სასამართლო“.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის განმავლობაში საია დაესწრო ექვს პროცესს, სადაც სავალდებულო იყო თარჯიმის მონაწილეობა. ერთ შემთხვევაში, ბრალდებულის უფლება, ჰყოლოდა თარჯიმის, დაირღვა. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ბრალდებულის თარჯიმის მთელი პროცესის მანძილზე, ფაქტობრივად, არ უთარგმნიდა ბრალდებულს პროცესის მიმდინარეობას და, ამასთან, არ იყო კვალიფიციური – სამართლებრივი ტერმინების შესატყვისი სიტყვების გარკვევას ის დარბაზში მყოფი დამსწრეებისგან ცდილობდა და თავისი მოვალეობას მხოლოდ პერიოდულად, მოსამართლის მითითებით ასრულებდა.

თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება

თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს სისასტიკისა და თვითნებობისაგან ინდივიდის დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტიაა. ეს უფლება გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით,¹¹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით¹² და სსსკ 205-ე (1)

¹¹ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“; ისავე მუხლის მე-2 ნაწილი: „თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე“;

¹² ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5.1 მუხლი: „ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდგომი შემოხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმდე: ა) კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრების შემდგომ პირის კანონიერი დაპატირება; ბ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატირება სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად; გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატირება კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, თუ არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან, როდესაც ეს საფუძვლიანად მიჩნეულია აუცილებლად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენის შემდგომ მისი გაცემის თავიდან ასაცილებლად; დ) არსებულწლოვნის დაკავება კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით ან მისი კანონიერი დაკავება უფლებამოსილი კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე მისი წარდგენის მიზნით; ე) ინფექციურ დაკავებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად პირების, აგრეთვე სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების,

მუხლით.¹³ სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე აღკვეთის ღონისძიების სახით პირისათვის პატიმრობის შეფარდების საფუძვლებს, შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობით, წარმოადგენს: а) პირის მიმალვის საფრთხე; ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე; გ) ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლოში პირველი წარდგენის 101 შემთხვევიდან 54%-ში სასამართლო აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობას იყენებდა, ხოლო დანარჩენ 46%-ში – გირაოს. ბრალდებული არც ერთ შემთხვევაში არ გაუთავისუფლებიათ აღკვეთის ღონისძიებისაგან.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის შედეგად აღკვეთის ღონისძიების მხოლოდ და მხოლოდ ორი სახის გამოყენება დაფიქსირდა: პატიმრობა და გირაო. სსსკ კი აღკვეთის ღონისძიების რამდენიმე სახეს ითვალისწინებს (პირადი თავდებობა, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი მეთვალყურეობა), სწორედ იმისათვის, რომ პროცესის მწარმოებელ ორგანოს პირის მიმართ ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენებისათვის უფრო მეტი არჩევანი ჰქონდეს. საყურადღებოა, რომ იმ საქმეებიდან, რომლებსაც საიას მონიტორები აკვირდებოდნენ, არც ერთ შემთხვევაში არ მომზადარა აღკვეთის ღონისძიების ზემოთ ჩამოთვლილი სახეების გამოყენება. არადა, ნაკლებად მიმეგობარისის დანაშაულების შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ რომელიმე მათგანის გამოყენება სავსებით გონივრულ ღონისძიებად ჩაითვლებოდა.

როგორც მონიტორინგმა აჩვენა, 55-ივე შემთხვევაში, როცა ბრალ-

ნაკრომანების ან მანანწალების კანონიერი დაკავება; ვ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან იმ პირისა, რომლის ნინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები მისი დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით”;

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 205.1: “პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ თავიდან იქნეს აცილებული: ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;

ბ) მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;

გ) ახალი დანაშაულის ჩადენა”.

დების მხარის მიერ მოთხოვნილი იყო პატიმრობა, სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. სხვა შემთხვევებში, ბრალდებულს დაეკისრა გირაო (უნდა აღინიშნოს, რომ ერთ შემთხვევაში, მთავარ სხდომაზე, დაცვის შუამდგომლობა პატიმრობის გირაოთი შეცვლის თაობაზე სასამართლომ დააკმაყოფილა, თუმცა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბრალდება დაეთანხმა ამ შუამდგომლობას).

საიას მონიტორებმა შენიშნეს, რომ გირაოს შეფარდება უშუალოდ ბრალდების მოთხოვნის საფუძველზე ხდებოდა. როცა ბრალდება შუამდგომლობდა გირაოს გამოყენებას, შუამდგომლობა ყოველთვის კმაყოფილდებოდა. მოსამართლე გირაოს არ იყენებდა, თუ ამას ბრალდება არ ითხოვდა. გარდა ამისა, 46-ივე შემთხვევაში, სადაც გირაო აღკვეთის ღონისძიებად იქნა გამოყენებული, მოსამართლის მიერ შეფარდებული თანხა პროკურორის მიერ მოთხოვნილი თანხის იდენტური იყო.

დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება

სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს მოთხოვნას, რომ სასამართლომ გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს უფლება გარანტირებულია სსსკ-ით¹⁴ და გამტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს რიგ გადაწყვეტილებებში.¹⁵ ეს უფლება კონვენციის ზოგადი პრინციპიდან მომდინარეობს, რომელიც იცავს პიროვნებას თვითხებური გადაწყვეტილებისგან და ეხება არა მხოლოდ საბოლოო განაჩენს, არამდე სასამართლოს მიერ ყველა ეტაპზე გამოტანილ გადაწყვეტილებას.

სსსკ-ით პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი ფორმაა. შესაბამისად, კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას, პროკურორი ვალდებულია, დასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა“. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესაძლებლობა და მხედველობაში მიიღოს ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, მიყენ-

¹⁴ სსსკ მუხლი 194.2: “სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს”;

¹⁵ მაგალითად, *Hiro Balani v. Spain*, no. 18064/91, Para. 27 (9 December 1994).

ებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ონისძიების დარღვევის ფაქტი და სხვა გარემოება.

გამოვლენილი შედეგები

როგორც უკვე აღინიშნა, საიას მეთოდოლოგია მოიცავდა ცალკეულ სასამართლო სხდომებზე დასწრებას და არა კონკრეტულ საქმეებზე გამართული სასამართლოს ყველას სხდომის მონიტორინგს. საია დაესწრო ზოგიერთ ისეთ სხდომას, რომელზეც სასამართლოს არ მოეთხოვებოდა შემაჯამებელი, დასაბუთებული გადაწყვეტილების წარმოდგენა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა, როგორც წესი, გულისხმობს სასამართლოსაგან აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე გადაწყვეტილების იმავე სხდომაზე გამოტანას, საიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლების რეალიზაციის თვალსაზრისით, დაკვირვება სწორედ სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომებზე ენარმობინა.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოსამართლები, პატიმრობის შეფარდებისას, იშვიათად ასაბუთებდნენ საკუთარ გადაწყვეტილება. ასეთი ფაქტები შემთხვევათა 33 %-ში დაფიქსირდა, ანუ – 55 სხდომიდან 18 შემთხვევაში.

გარდა ამისა, სასამართლო იშვიათად ითხოვდა პროკურორისაგან პატიმრობის შეფარდების მოთხოვნის დასაბუთებას. სასამართლოში პირველი წარდგენის 101 სხდომიდან 62 შემთხვევაში, ბრალდების ძირითადად არგუმენტს „დანაშაულის მოსალოდნელი გაგრძელება“ წარმოადგენდა, თუმცა, აქედან მხოლოდ 11 შემთხვევაში (18%) წარმოადგინა ბრალდებამ თავისი არგუმენტის დასაბუთება.

სასამართლოში პირველი წარდგენის 101 სხდომიდან 21 შემთხვევაში ბრალდების ძირითად არგუმენტს „მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა და მტკიცებულებათა განადგურება“ წარმოადგენდა, თუმცა, აქედან მხოლოდ ორ შემთხვევაში (10%) შეძლო ბრალდებამ, წარმოედგინა კონკრეტული ფაქტები თავისი მოთხოვნის მხარდასაჭერად.

სასამართლოში პირველი წარდგენის 46 შემთხვევიდან, რომლებშიც ბრალდებულს გირაო შეეფარდა, მხოლოდ 19 შემთხვევაში (41%) წარმოადგინა სასამართლომ საქმარისი დასაბუთება გირაოს შეფარდებასთან დაკავშირებით.

სასამართლოში პირველი წარდგენის შემთხვევებიდან, სადაც გირაო იქნა გამოყენებული, მის შეფარდებამდე სასამართლო მხოლოდ შემთხვევათა 41%-ში შეეცადა ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრას.

სასამართლოში პირველი წარდგენის შემთხვევებიდან, სადაც გირაო იქნა გამოყენებული, ბრალდებამ სასამართლოს წინაშე ბრალდებულის ფინანსური სტატუსის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 41%-ში წარმოადგინა.

არასათანადო მოპყრობის აკრძალვა

არასათანადო მოპყრობის აკრძალვა გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით,¹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით¹⁷ და სსსკ-ის მე-4 მუხლით.¹⁸ არასათანადო მოპყრობის აკრძალვა იცავს პირს წამებისა და დამამცირებელი მოპყრობისაგან.

ამ უფლების განსახორციელებლად, ბრალდებული წათლად უნდა იყოს ინფორმირებული თავისი უფლებების შესახებ და ჰქონდეს არასათანადო მოპყრობის გამო საჩივრის შეტანის უფლება მიუკერძოებელ მოსამართლესთან. ეს, ლოგიკურად, სასამართლოსაც აკისრებს ვალდებულებას, რომ ბრალდებულს მიაწოდოს ინფორმაცია ამ უფლების შესახებ და მისცეს მას შესაძლებლობა, დააფიქსიროს თავისი უფლებების დარღვევის ფაქტები. ეს ვალდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როცა ბრალდებული იმყოფება პატიმრობაში და, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან სრულ ფიზიკურ კონტროლს ექვემდებარება.

¹⁶ საქართველოს კონსტიტუციის 17.2: “მუხლის თანახმად: „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაპუმანური, სასტიკი ან პატივის და ღირსების შემლახვი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება“;

¹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი: “არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას“;

¹⁸ სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლი: „დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუფის, სამედიცინო ჩარევის [...] გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებასა ან აზროვნებაზე [...]“.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ სასამართლოში პირის პირველი წარდგენის დროს, შემთხვევათა 28%-ში (28 შემთხვევა 101-დან), მოსამართლემ არ განუმარტა ბრალდებულს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება. აგრეთვე, აღმოჩნდა, რომ სასამართლოში პირის პირველი წარდგენის დროს, შემთხვევათა 28%-ში, მოსამართლეს არც კი უცდია გამოერკვია, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ასეთი საჩივარი.

საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე გამართულ სხდომათა 64%-ში (50 საქმიდან 32-ში) მოსამართლებმა ბრალდებულს არ განუმარტეს, რომ არასათანადო მოპყრობის საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

შემთხვევათა 18%-ში (50 სხდომიდან 9), მართალია მოსამართლემ ბრალდებულს მიაწოდა ინფორმაცია არასათანადო მოპყრობის გამო საჩივრის შეტანის უფლების შესახებ, მაგრამ ეს განმარტება სრულყოფილი არ იყო. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო ვერ უზრუნველყოფდა იმის გამორკვევას, რომ საპროცესო შეთანხმება ძალადობის, ზენოლის, მოტყუებისა და სხვა უკანონო დაპირებების გარეშე იყო დადებული, ან, რომ ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების საშუალება. იყო ასევე შემთხვევა, როდესაც სასამართლომ არ მიაწოდა ბრალდებულს სრული ინფორმაცია მის უფლებაზე, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულიყო ძალადობის, ზენოლის და მოტყუების გარეშე.

დასკვნა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლო, ძირითადად, ასრულებდა საქმის საჯარო განხილვის ვალდებულებას. აშკარა გამონაკლისს სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის ეტაპი წარმოადგენდა, როდესაც სასამართლომ ვერც ერთ შემთხვევაში უზრუნველყო პროცესის თარიღისა და ადგილის შესახებ საზოგადოების წინასწარ ინფორმირება.

მართალია, მთავარ სასამართლო სხდომებზე მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, ძირითადად, დაცული იყო და მხარეებს საშუალება ჰქონდათ, მოწმებისათვის კითხვები მოსამართლის ჩარევის გარეშე დაესვათ, მაინც დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მოსამართლემ

დაივიწყა თავისი ნეიტრალური როლი და მოწმის დაკითხვისას ზედ-მეტად იაქტიურა.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოსამართლეებს უკეთესად შეეძლოთ სასამართლო პროცესის ყველა ეტაპზე ბრალდებულისათვის მათი უფლებების განმარტება. ეს განსაკუთრებით არასათანადო მოპყრობის თაობაზე საჩივრის შეტანის უფლებას და მოსამართლის აცილებას ეხება. საჭიროა, რომ სასამართლო პროცესზე მოსამართლემ უფრო ხმამაღლა და გასაგებად ისაუბროს, რათა დამსწრებს, იქნება ეს მონაზილე მხარე თუ საზოგადოების წევრი, მიეცეს შესაძლებლობა, სრულყოფილად გაიგოს, თუ რა ხდება სასამართლო დარბაზში.

მიუხედავად იმისა, რომ, ძირითად შემთხვევებში, სასამართლო დარბაზში შექმნილი გარემო მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცულობის შთაბეჭდილებას ქმნიდა, სასამართლო გადაწყვეტილებების მონიტორინგმა გამოკვეთა შემაშფოთებელი ტენდენცია. კერძოდ, სასამართლოები ბრალდების მხარეს აშკარად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებენ. ეს მიდგომა განსაკუთრებით თვალში-საცემია სასამართლოში პირველი წარდგენის ეტაპზე. აბსოლუტურად ყველა საქმეზე, რომელსაც საის მონიტორები ესწრებოდნენ, სასამართლო იზიარებდა ბრალდების პოზიციას აღკვეთის ღონისძიების სახესთან დაკავშირებით. ყველა შემთხვევაში, როცა ბრალდება აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობას ითხოვდა, მოსამართლე იღებდა გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდების თაობაზე. იგივე მეორდებოდა გირაოს მოთხოვნის შემთხვევაშიც. სასამართლო იშვიათად წარადგენდა საკმარის დასაბუთებას აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდების თაობაზე. გირაოს შემთხვევაში, მოსამართლის მიერ შეფარდებული თანხა ყოველთვის ემთხვეოდა პროკურორის მიერ მოთხოვნილს და არასოდეს იყო მასზე ნაკლები. გარდა ამისა, გირაოს შეფარდების გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო თითქმის არასოდეს ცდილობდა, გაერკვია ბრალდებულის ფინანსური სტატუსი ან დაესაბუთებინა შეფარდებული გირაოს ოდენობის შესაბამისობა.

განსაკუთრებით სამწუხაროა იმის აღნიშვნა, რომ სასამართლოში პირველი წარდგენის 101 სასამართლო სხდომიდან, რომელსაც საია მონიტორინგს უწევდა, არ მომხდარა ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება. ყველა ბრალდებულს, მათაც კი, ვისაც წაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში ედებოდათ ბრალი, აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა ან გირაო შეეფარდათ. ეს ფაქტი მყარი არგუმენტია მათთვის, ვინც აცხადებს, რომ მოსამართლეები, აღკვეთის

ლონისძების შეფარდებისას, მისი გამოყენების საჭიროების შეფასებას კი არ ახდენენ, არამედ მთავრობის მიერ გაცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის“ ერთგული განმახორციელებლები არიან.

სასამართლოს მიერ ბრალდების მხარის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება სისხლის სამართლის პროცესის სხვა სტადიებზეც აშკარა იყო. წინა-სასამართლო სხდომაზე სასამართლო ყოველთვის აკმაყოფილებდა ბრალდების შუამდგომლობას მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. თუმცა, დაცვის მხარესთან მიმართებით ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა ბრალდება თანახმა იყო. რაც ყველაზე მთავარია, ყველა შემთხვევაში, როდესაც სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა, ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი.

სასამართლოს მხრიდან ბრალდებისადმი მიკერძოების ტენდენციის პარალელურად, მონიტორინგმა გამოავლინა, რომ სასამართლო სხდომებზე, ზოგადად, ბრალდების მხარე უფრო აქტიურობდა, ვიდრე დაცვა. მაგალითად, 66 წინა-სასამართლო სხდომაზე ბრალდებამ დააყენა 66 შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარმოდგენის თაობაზე, მაშინ როცა დაცვის მხრიდან მხოლოდ 17 შემთხვევა დაფიქსირდა. გარდა ამისა, დაცვის მხარე ძალიან იშვიათად ეწინააღმდეგებოდა ბრალდების შუამდგომლობებს.

დანართიები

სასამართლოში პირველი წარდგენა — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 101

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	101	100%
კი	0	0%
არა	101	100%
მოსამართლემ გამოაცხადა საქმის განხილვის შესახებ?	101	100%
კი	99	98%
არა	2	2%
მოსამართლე საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე საუბრობდა?	101	100%
კი	80	79%
არა	21	21%
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	101	100%
კი	101	100%
არა	0	0%
მოსამართლემ/მღივანმა დაასახელა მხარეთა ვინაობა?	101	100%
კი	97	96%
არა	0	0%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	4	4%
მოსამართლემ აუხსნა ბრალდებულის მოსამართლის აცილების უფლება?	101	100%
კი	61	60%
არა	34	34%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	6	6%

მოსამართლის ქცევა რომელიმე მხარის მიმართ იყო დამაშინებელი?	101	100%
კი	0	0%
არა	101	100%
მიუთითებდა თუ არა რაიმე მოსამართლის მიუკერძოებლობაზე?	101	100%
კი	0	0%
არა	101	100%
ადვოკატი ესწრებოდა სხდომას?	101	100%
კი	69	68%
არა	32	32%
ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე იყო დანიშნული?	101	100%
კი	6	6%
არა	18	18%
არ აღნიშნულა სხდომაზე	77	76%
ადვოკატი სავალდებულო წესით იყო დანიშნული?	101	100%
კი	6	6%
არა	19	19%
არ აღნიშნულა სხდომაზე	76	75%
ადვოკატი მოწვეული იყო?	101	100%
კი	48	48%
არა	4	4%
არ აღნიშნულა სხდომაზე	49	49%
საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იყო თარჯიმანი?	101	100%
კი	6	6%
არა	0	0%
თარჯიმის მოწვევა არ იყო აუცილებელი	95	94%

შერჩეული აღკვეთის ღონისძიება	101	100%
გირაო	46	46%
პატიმრობა	55	54%
პირადი თავდებობა	0	0%
სათანადო ქცევის და გაუსვლელობის შესახებ შეთანხმება	0	0%
სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა	0	0%
მოსამართლემ აცნობა ბრალდებულს არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის წარდგენის უფლების თაობაზე?	101	100%
კი	67	66%
არა	28	28%
მხოლოდ ზოგადად აუხსნა უფლებები	6	6%
მოსამართლემ ჰქოთხა ბრალდებულს ამ უკანასკნელს ჰქონდა თუ არა რაიმე საჩივარი თავის უფლებათა დარღვევის შესახებ?	101	100%
კი	66	65%
არა	28	28%
მხოლოდ ზოგადად აუხსნა უფლებები	7	7%

წინა-სასამართლო სხდომები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 66

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	66	100%
კი	58	88%
არა	6	9%
უცნობია, რადგან პროცესი ჩატარდა იმავე დარბაზში სადაც წინა პროცესი ტარდებოდა და მონიტორინგი ვერ შეძლო ინფორმაციის გადამოწება	2	3%

მოსამართლე საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე საუბრობდა?	66	100%
კი	66	100%
არა	0	0%
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	66	100%
კი	66	100%
არა	0	0%
მოსამართლემ/მდივანმა დაასახელა მხარეთა ვინაობა?	66	100%
კი	63	95%
არა	3	5%
მოსამართლემ გამოაცხადა საქმის განხილვის შესახებ?	66	100%
კი	66	100%
არა	0	0%
მოსამართლემ აუხსნა ბრალდებულის მოსამართლის/სხდომის მდივნის აცილების უფლება?	66	100%
კი	33	50%
არა	33	50%
პროკურორმა წარადგინა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ?	66	100%
კი	66	100%
არა	0	0%
შუამდგომლობა დაკმაყოფილდა?		
კი	66	100%
არა	0	0%
დაცვამ დაუჭირა მხარი?		

24

კი	59	89%
არა	6	10%
არ გამოუხატავს პოზიცია	1	1%
დაცვამ წარადგინა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ?	66	100%
კი	17	26%
არა	49	74%
შუამდგომლობა დაკმაყოფილდა?	17	100%
კი	13	76%
არა	4	24%
ბრალდებამ დაუჭირა მხარი?	17	100%
კი	13	76%
არა	3	18%
ნაწილობრივ	1	6%
დაცვამ გამოიქვა პრეტენზია მომზადებისთვის სათანადო დროის და პირობების არქონის გამო?	66	100%
კი	2	3%
არა	64	97%
რომელიმე მხარეს შეექმნა პრობლემები მტკიცებულებათა მოპოვებისას?	66	100%
კი	3	5%
არა	63	95%
თუ კი, რომელ მხარეს?	3	100%
ბრალდებას	0	0%
დაცვას	3	100%
რომელიმე მხარეს არ მიეცა მტკიცებულებათა წარმოდგენის საშუალება?	66	100%
კი	2	3%

არა	64	97%
თუ კი, რომელ მხარეს?	2	100%
ბრალდებას	0	0%
დაცვას	2	100%
რომელიმე მხარემ განაცხადა საჩივარი საქმის მასალებისა და წერილობითი მტკიცებულებების ხელმისაწვდომობაზე?	66	100%
კი	6	9%
არა	60	91%
თუ კი, რომელმა მხარემ?	6	100%
ბრალდებამ	4	67%
დაცვამ	2	33%
დაკმაყოფილდა პროკურორის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხა?	66	100%
სრულად	66	100%
ნაწილობრივ	0	0%
არ დაკმაყოფილდა	0	0%
დაკმაყოფილდა დაცვის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხა?	17	100%
სრულად	11	64%
ნაწილობრივ	3	18%
არ დაკმაყოფილდა	3	18%

არსებითი განხილვის სხდომები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 66

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	66	100%
კი	47	71%
არა	19	29%

მოსამართლემ გამოაცხადა საქმის განხილვის შესახებ?	66	100%
კი	64	97%
არა	2	3%
მოსამართლე საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე საუბრობდა?	66	100%
კი	66	100%
არა	0	0%
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	66	100%
კი	66	100%
არა	0	0%
მოსამართლემ/მდივანმა დაასახელა მხარეთა ვინაობა? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 6 განხილვაზე, რომელიც არსებითი განხილვის ეტაპის პირველი სხდომა იყო)	6	100%
კი	6	100%
არა	0	0%
გადაწყვეტილება საჯაროდ გამოცხადდა?	2	100%
კი	2	100%
არა	0	0%
მოსამართლემ აუხსნა ბრალდებულის მოსამართლის/სხდომის მდივნის აცილების უფლება? (ეს საქმე რელევანტური იყო მხოლოდ 6 შემთხვევაში)	6	100%
კი	4	%
არა	2	%
მოსამართლის ქცევა რომელიმე მხარის მიმართ იყო დამაშინებელი?	66	100%
კი	0	0%

არა	66	100%
მოწმეები იმყოფებოდნენ სხდომის დარბაზში დაკითხვამდე?	30	100%
კი	0	0%
არა	30	100%
მოსამართლემ დაუსვა კითხვები მოწმეებს?	30	100%
კი	5	17%
არა	25	83%
მოსამართლემ რომელიმე მოწმეს შეაწყვეტინა საუბარი?	5	%
კი	1	%
არა	4	%
თუ კი რომელი მხარის მოწმეს?		
ბრალდების	1	%
დაცვის	0	%

საპროცესო შეთანხმებები — დასწრებული სხდომების რაოდენობა:
50

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	50	100%
კი	20	40%
არა	26	52%
უცნობია, რადგან პროცესი ჩატარდა იმავე დარბაზში სადაც წინა პროცესი ტარდებოდა და მონიტორმა ვერ შეძლო ინფორმაციის გადამოწმება	4	8%
მოსამართლემ გამოაცხადა საქმის განხილვის შესახებ?	50	100%
კი	50	100%
არა	0	0%

მოსამართლე საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე საუბრობდა?	50	100%
კი	45	90%
არა	5	10%
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	50	100%
კი	50	100%
არა	0	0%
მოსამართლემ აუხსნა ბრალდებულს მოსამართლის აცილების უფლება?	50	100%
კი	20	40%
არა	11	22%
დაკვირვება ხორციელდებოდა გადადებულ სხდომაზე და უცნობია, წინა სხდომაზე განემარტა თუ არა ეს უფლება ბრალდებულს	19	38%
მოსამართლის ქცევა რომელიმე მხარის მიმართ იყო დამაშინებელი?	50	100%
კი	0	0%
არა	50	100%
მოსამართლემ განუმარტა ბრალდებულს, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას?	50	100%
კი	9	18%
არა	32	64%
მხოლოდ ზოგადად განუმარტა უფლებები	9	18%